ქ. თბილისში, ნიზამის შესახვევი №1, № 3-ში განთავსებული შენობისა და მიმდებარე ტერიტორიის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა



ხელოვნებათმცოდნე: ქ. დარჩია

თბილისი

2017


ჩვენი საკვლევი ობიექტი მოიცავას ნიზამი განჯევის[1] შესახვევ №2 მისამართზე რიცხულ, 680 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთსა და მასზე არსებულ რამდენიმე ბარაკული ტიპის ნაგებობას. მოცემული ტერიტორია, რთული რელიეფის წყალობით, საკმაოდ მაღალი ნიშნულიდან დაჰყურებს ქალაქს. მიწის ნაკვეთიც ნაწილობრივ ტერასულია; (ტერასები რკინა-ბეტონის საყრდენი კედლებითაა გამიჯნული). სამხრეთის მხრიდან მას მთის ფერდი ესაზღვრება, ჩრდილოეთიდან კი მისადგომი გზა (სურ. 1, 2).

საკვლევი ობიექტი თბილისის ერთ-ერთ უძველეს ისტორიულ უბანში – ხარფუხში განთავსდება. ამდენად, მოცემული ტერიტორია ქალაქის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონის საზღვრებში ექცევა. შესაბამისად, კვლევასაც საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობის მნიშვნელობის გარკვევით დავიწყებთ, რისთვისაც უკანასკნელი საუკუნების მანძილზე თბილისის, უფრო ზუსტად კი აბანოთბნისა და ხარფუხის განვითარების მოკლე ისტორიულ ექსკურსს შევთავაზებთ მკითხველს.



სურ. 1

[1] XII საუკუნის სპარსელი პოეტი და ჰუმანისტი (დაახლ. 1141-1203 წწ.), სპარსული ლიტერატურის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი.




სურ. 2

უბნის ისტორიული მიმოხილვა

უძველესი დროიდან თბილისი რამდენიმე განსაზღვრული უბნისაგან შედგებოდა. ქალაქის ძირითად ბირთვს ქმნიდა კალა, ისნი და ტფილისი, რომელთა ფარგლებშიც ვითარდებოდა ძირითადი ქალაქი. ჯერ კიდევ ვახუშტი ბატონიშვილი წერდა: "ხოლო ტფილისი არს სამი ქალაქი: ტფილისი, კალა, ისნი. ჰყოფს მტკვარი კალას, ტფილისს და ისნს: კალას უდის ჩრდილოით-აღმოსავლეთ, ტფილისს – ჩრდილოით და ისნს დასავლით". მოგვიანებით, 1807-1808 წლებში რუსი მოგზაური, კლაპროტი იმასვე ამბობს: "ტფილისი განიყოფება სამ ნაწილად: საკუთრივ ტფილისი ანუ ძველი ქალაქი, სადაც ცხელი აბანოებია, მტკვრის სამხრეთ-აღმოსავლეთით, უმნიშვნელო მცხოვრებთა რიცხვით; კალა ანუ ციხე, პირველი ნაწილის ჩრდილოეთით და მდინარის დასავლეთით, ქალაქის ყველაზე უფრო დასახლებული ნაწილი; დაბოლოს, გარეუბანი ისნი, რომელსაც ორი პირველი ნაწილისაგან ჰყოფს ერთადერთი ხიდი მდინარე მტკვარზე". აქედან კარგად ჩანს, რომ სახელწოდება "*ტფილისი*",

იმავდროულად ქალაქის ერთ-ერთ უბანსაც აღნიშნავდა. ვახუშტი ბატონიშვილი მოგვითხრობს: "ხოლო აწ უწოდებენ ოთხავ ქალაქთა აწ ტფილისს და განყოფით: კალას ტფილისსა, ტფილისს – სეიდაბათს და ისნს – ავლაბარს, და გარეთ-უბანი არს ტფილისსა".

საინტერესოა, რომ თავდაპირველად სწორედ ცხელი წყლით განთქმულ ადგილს ერქვა ტფილისი, პირველი დასახლებაც აქ ჩასახულა. მემატიანე მოგვითხრობს: "აიყარა მეფე სპარსთა, და უკუდგა რუსთავად, და გამოვიდეს იგინი განთიად და დადგეს ველსა კალაისასა, რამეთუ ტფილისიცა და კალაიცა მოოხრებული იყო მაშინ" ("ქართლის ცხოვრება"). აქ ლაპარაკია თბილისის ორ ნაწილზე: ტფილისზე და გალავანშემოვლებულ კალაზე.



სურ. 3. თბილისის გეგმა. 1782 წელი

საუკუნეების განმავლობაში ქალაქ თბილისის ტერიტორია ტოპოგრაფიულად დიდ ცვლილებებს განიცდის. ქალაქის ურბანულად


მყარი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილისაგან, "კალასაგან" განსხვავებით, ცვალებადი და არმდგრადია ქალაქის მეორე უბანი – "ტფილისი". მას უნდა სჭეროდა მდინარე წავკისის მარჯვენა ნაპირი, დღევანდელი აბანოების უბნის ტერიტორია მდინარე მტკვრამდე. "ტფილისი" სწორედ ის ტერიტორია, სადაც დღეს აბანოთუბანი და ორთაჭალის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი განთავსდება.

აბანოთუბანი თბილისის უძველესი ნაწილია, ამ ადგილზე წარმოიშვა ერთ-ერთი პირველი დასახლებაც. ეს ადგილი ოდითგანვე გოგირდის წყლის აბანოებითაა ცნობილი. ძველ თბილისში ჩამოსული ყველა სტუმარი თუ მოგზაური მას ასხამდა ხოტბას. თბილისის აბანოები ხშირად იხსენიება ძველ საბუთებსა თუ მოგზაურთა აღწერილობაში. X საუკუნის არაბი გეოგრაფოსის აღწერით, " აქ წყალი უცეცხლოდ დუღს". ვ. ბერიძის თქმით, "XVI-XVIII სს. ყველა მოგზაური და აღმწერი, ვისაც კი თბილისზე უწერია, უეჭველად იხსენიებს აბანოებსაც – ეს ბუნებრივი აბანოები ყველას მიერ ქალაქის სპეციფიკურ და ღირშესანიშნავ თავისებურებად იყო მიჩნეული".

თბილისის, როგორც ქალაქის დაწინაურების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი სწორედ მისი მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობა და მიწიდან მომდინარი ბუნებრივი გოგირდის ცხელი წყალი იყო. ვახუშტი ბატონიშვილი ხაზგასმით აღნიშნავდა: "ტფილისს სდის ცხელი წყალი კლდიდამ, არს მით აბანონი ექვსნი და დიდ-შენნი ავაზიანნი, მარადის მომდინარი ცხელი წყალი".

ტერიტორიამ, რომელიც ცხელი წყლებით იყო განთქმული რამდენჯერმე შეიცვალა სახელწოდება. თავდაპირველად მას, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, "**ტფილისი**" ერქვა, შემდეგ, XVII საუკუნიდან – "**სეიდაბადი**", სულ ბოლოს კი "**ხარფუხი**". ჯერ კიდევ ვახუშტი ბაგრატიონი თბილისის გეგმაზე ამ უბანს ორმაგ სახელს უწოდებს: "სეიდაბადი ან ტფილისი". "სეიდაბადი" სპარსული სიტყვაა და სეიდების სამოსახლოს ან სეიდების უბანს ნიშნავს. გადმოცემის თანახმად, ბუნებრივი ცხელი წლით მოხიბლულ სპარსეთის შაჰს აქ სეიდების ტომი

ჩამოუსახლებია, სახელწოდებაც აქედან გაჩენილა – “აქ დასხა შასეფიმ სეიდნი, მის გამო სპარსნი უწოდებენ სეიდ აბადს” (ვახუშტი ბატონიშვილი).



სურ. 4. თბილისის გეგმა ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით. 1735 წელი


სეიდაბადი ხშირად მოიხსენიება ქართულ ისტორიულ წყაროებში. ვახუშტის თბილისის 1735 წლის გეგმის მიხედვით, სეიდაბადი შემდეგნაირად შემოიფარგლება: ჩრდილოეთიდან – ქალაქის სამხრეთის ზღუდით და წავკისის ხევით, აღმოსავლეთიდან – მდ. მტკვრით, სამხრეთიდან – ქალაქის სამხრეთით მდებარე ძველი ზღუდით, (ე.წ. “განჯის კარი”), დასავლეთით – თაბორის მთით. სეიდაბადის გარშემო გაშენებული ყოფილა ვენახები და ხილის ბაღები, რომლებიც მდ.

მტკვრისა და წავკისის წყლიდან საგანგებოდ გაყვანილი სარწყავი რუებით ირწყვებოდა. ამ ცნობის ადასტურებს თეიმურაზ ბაგრატიონის სიტყვებიც: "ტფილისი უწინარეს ვახტანგ გორგასლანისა იყო მცირეს სოფლებად დაყოფილი. ესე იგი: ... სოფელი აბანოების ხევს გაღმა ყოფილა, სეიდაბადის ბაღები რომ არის, იქ, ტფილს წყლებ ახლო. და იმ სოფელს ტფილისი რქმევია, და იქაც მცირედნი ქართველები მდგარან".

თბილისის გალავანს სამხრეთიდან ჰქონდა ორი კარი: "განჯისა" და "აბანოსი". "განჯის კარი" "აბანოს კარის" მაღლა იყო ქალაქის კედელში დატანებული, დაახლოებით იქ, სადაც დღეს ბოტანიკური ბაღის შესასვლელია. სწორედ ამ უკანასკნელის კარისა და მისივე სახელწოდების მქონე ხიდის საშუალებით, უკავშირდებოდა სეიდაბადი ქალაქს. ვახუშტი არ ხსენებს "აბანოს კარს", მის მიერ შედგენილ 1735 წლის გეგმაზე მხოლოდ განჯის კარია აღნიშნული. შესაძლოა "აბანოს კარი" მხოლოდ ქალაქის გარეუბანში, "სეიდაბადში" გასასვლელად იყო გამიზნული. პლ. იოსელიანი მას "სეიდაბადის კარს" უწოდებს. ცნობილი მოგზაური, გიულდენშტედტი კი ამბობს: ".. ადრე ქვედა გარეუბანი, აბანოების ქვევით, იყო ქალაქი თბილის ქალაქი" ე.ი. სეიდაბადს "ქვედა გარეუბანი" ეწოდებოდა, მისი ტერიტორიის ერთ-ერთ ნაწილს კი "აბანოს უბანი". იგი იქვე დასძენს: "ქალაქის ქვემოთ, ახლოს მასთან და მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, არის თბილი წყაროები და მათთან საზოგადო აბანოები ორივე სქესისათვის. აბანოების ქვემოთ არის წინა ქალაქი, გარეთუბანი, ან უფრო უკეთ, ძველი თბილისი".

ნიშნადობლივია, რომ ვახუშტი ბაგრტიონი აბანოების უბანს სეიდაბადის ერთ ნაწილად წარმოგვიდგენს. პორუჩიკ ჩუიკოს მიერ შედგენილ 1800 წლიდ გეგმაზე კი მხოლოდ აბანოების უბანია ნაჩვენები, რადგან სეიდაბადის დანარჩენი ტერიტორია ამ დროისათვის აღარაა დასახლებული და მთლიანად ბაღებითაა დაფარული. ამგვარად, უკვე 1800 წლის გეგმის თანახმად, ვახუშტისეული სიდაბადი, ანუ აბანოები, ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილშია მოქცეული. XIX საუკუნის დასაწყისში

იგი მართლაც ნაკლებადაა განაშენიანებული. კლაპროტიც აღნიშნავს, რომ მაცხოვრებელთა რიცხვი აქ უმნიშვნელოაო.[2]



სურ. 5. თბილისის გეგმა. 1800 წელი


რაც შეეხება აბანოთუბნის კიდევ ერთ სახელწოდებას – "ხარფუხს",[3] იგი აბანოების უბანსა და ორთაჭალას შორის, თაბორის მთის ძირში, XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე გაჩენილი პატარა საოფლის სახელიდან მომდინარეობს. XIX საუკუნის დასაწყისში, 1807 წელს აქ პირველად დასახლებულან ლეკების მიერ დარბეული სოფ. წალასყურიდან გადმოხიზნული გლეხები. 1811 წელს ხარფუხი თბილისს მიაწერეს, შემდეგ თბილისის მაზრას მიაწერეს. 1819 წლის 15 მარტის ბრძანებით, ხარფუხი

[2] ვ. ბერიძე, "თბილისის ხუროთმოძღვრება. 1801-1917 წწ"., ტ I, თბ., 1960-1962, გვ. 20

[3] ი. გრიშაშვილის გადმოცემით, ტოპონიმი "ხარფუხი" (ხარბუხი) ძველებურ სომხურ ენაზე სურდოს ნიშნავდა. ამის შესახებ იხ. თ. კვირკველია, ძველთბილისური დასახლებანი, თბილისის, 1985, გვ. 96


ოფიციალურად იქცა თბილისის ნაწილად. ამ დროიდან მოყოლებული ეს სახელწოდება ვრცელდება სეიდაბადზეც.[4]

უნდა ითქვას, რომ საკმაოდ რთული დასადგენია ზუსტად სად გადიოდა ზღვარი ტფილისსა და სეიდაბადს შორის, უფრო სწორედ სეიდაბადის რა ნაწილს შეადგენდა აბანოთუბანი და ხარფუხი. თ. კვირკველიას თქმით, აბანოების უბანი ერქვა სეიდაბადის ჩრდილოეთ ნაწილს, წავკისის წყლის მარჯვენა ნაპირზე არსებულ, პატარა, ლოკალურ ადგილს, სამხრეთი ნაწილი კი შეადგენდა ხარფუხს. ამგავარდ, ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთი ბოლო მარცხენა ნაპირზე ნავთლუღსა და დარისჭალის ბაღებს უჭირავს, მარჯვენაზე კი ხარფუხსა და კრწანისის ბაღებს; აქვეა კუნძულზე ორთაჭალის ბაღები.



სურ. 6. თბილისის გეგმის ფარგმენტი, ხარფუხი. 1844 წ.

[4] თ. კვირკველია, ძველთბილისური დასახლებანი, თბილისის, 1985, გვ. 96



სურ. 7. თბილისის გეგმის ფარგმენტი, ხარფუხი. 1867 წ.



სურ. 8. თბილისის გეგმის ფარგმენტი, ხარფუხი, ორთაჭალის ბაღები. 1884 წ.



სურ. 9. თბილისის გეგმის ფარგმენტი. 1896 წ.




სურ. 10. თბილისის გეგმის ფარგმენტი. 1898 წ.

ხარფუხის ფორმირება მეტწილად XIX საუკუნის შუა ხანაში იწყება. 1840-60-იანი წლების თბილისის ტოპოგრაფიულ გეგმებზე (სურ. 6,7) დაკვირვება ცხადყოფს, რომ სწორედ ამ დროს ხდება ქუჩათა ქსელის ჩამოყალიბება და მოცემული ტერიტორიის აქტიური განაშენიანება. 1880-1890-იანი წლების გეგმები (სურ. 8-10) უკვე დასრულებულ სურათს გვიჩვენებს; მათზე მკაფიოდ განირჩევა რთული, შუა საუკუნეობრივად უწესრიგო ურბანული სტრქუტურა, რომელიც, პრაქტიკულად, უცვლელადაა ჩვენამდე მოღწეული (შეად. სურ. 12, 13). მათ შორის, უკვე არსებობს ამჟამინდელი გ. მერჩულესა და თელეთის ქუჩები, რომელნიც გრემისა და არარატის სახელწოდებებს ატარებს. 1903-1904 წწ. გეგმაზე კი მოცემული ქუჩების ერთმანეთთან დამაკავშირებელი, XIX საუკუნის ბოლოს წარმოქმნილი[5] იმირის ქუჩა და შესახვევიც ჩანს – დღევანდელი ნიზამის შესახვევი, სადაც განთავსდება კიდეც ჩვენი კვლევის ობიექტი.




სურ. 11. თბილისის გეგმის ფარგმენტი. 1903-1904 წწ.

[5] ო. ტყეშელაშვილი, თბილისის ქუჩები, თბ., 1986, გვ. 115



სურ. 12



სურ. 13


რთული რელიეფის წყალობით ხარფუხის განაშენიანება უკვე XIX საუკუნის მეორე ნახევარში ატარებს ბუნებრივ გარემოს ორგანულად მორგებული, დამრეც ფერდზე შეფენილი მჭიროო განაშენიანების ხასიათს (სურ. 14, 15). ესაა მეტწილად ფერდის გასწვრივ, გრძივად განვითარებული და ტერასულად განლაგებული საცხოვრებელი სახლები. ტერასების ნაწილი ბუნებრივია, ნაწილი კი, ხშირ შემთხვევაში, ხელოვნურადაა ამოყვანილი აგურისა და ქვის მონაცვლეობითი რიგებით ნაშენი საყრდენი კედლებით.

ნიზამი განჯევის შესახვევი №2

ჩვენი კვლევის ობიექტი, როგორც დასაწყისშივე ითქვა, 680 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთსა და მასზე არსებულ რამდენიმე ნაგებობას მოიცავს. სამხრეთის მხრიდან მოცემულ ნაკვეთს მთის ფერდი ესაზღვრება, აღმოსავლეთ და დასავლეთიდან კი გ. მერჩულესა და (ცოტა მოშორებით) თელეთის ქუჩა. რთული რელიეფის წყალობით, მოცემული ტერიტორია, ნაწილობრივ ტერასულია; ორგან, უშუალოდ შესახვევზე გამომავალ წითელ ხაზსა და ტერიტორიის შუაწელზე ტერასები რკინა-ბეტონის საყრდენი კედლითაა გამოკვეთილი (სურ. 14).



სურ. 14. თბილისი, ხედი ბერძნულ ეკლესიასა და ძველ საბაჟოზე. 1960-იანი წწ. დ. ერმაკოვის ფოტო



სურ. 15. თბილისი, ხედი ძველ საბაჟოზე. 1960-იანი წწ. ფოტო



სურ. 14

უნდა ვივარაუდოთ, რომ მათ ადგილას ძველად, ზემოთ ნახსენები, აგურისა და ქვის შერეული წყობით ნაშენი საყრდენი კედლები იქნებოდა. ამ მოსაზრების დასტურად და უტყუარ მოწმედ გამოდგება მოცემული ტერიტორიის თავზე, უშუალოდ მასთან მომიჯნავედ მდგარი და დღემდე შემორჩენილი ამგვარი კედლის ფარგმენტი (სურ. 15, 16), რომელიც თავდაპირველად, უთუოდ, საყრდენ კედელთა ერთიანი სისტემის ნაწილი იყო და შესაბამისად, 1840-60-იანი წლებს უნდა მიეკუთვნებოდეს. აგურის დეკორატიულად გამოყვანილ, ურთიერთმონაცვლე ვერტიკალურ-ჰორიზონტალურ „ხალიჩისებურ“ წყობას, გარკვეული ინტერვალებით, კერძოდ კი კონსტრუქციული დატვირთვის მქონე ხის სარტყლებით გამოკვეთილ ჰორიზონტალურ რიგებთან, თევზისფხისებრი წყობა ამრავალფეროვნებს. კედლის კუთხეჩამოთლილი კიდე ასევე აგურითაა გამოყვანილი. კედლის ძირითად მასას ყორე ქვის, ქვა-ღორღისა და მიწის ნაერთი ბუტი შეადგენს. კედელი დღესდღეობით ძლიერ ამორტიზებულია, რღვევას განიცდის და ნაწილობრივ ხე-მცენარეებითაა დაფარული.

საგაგნგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული კედლის ფრაგმენტი ნაკვეთზე არსებულ ერთადერთ ისტორიულ სიძველეს და აუცილებლად შესანარჩუნებელ ფასეულობას წარმოადგენს.



სურ. 15



სურ. 16

იმთავითვე უნდა ითქვას, რომ ზემოთგანხილული საყრდენი კედლის გარდა, მოცემულ მიწის ნაკვეთზე არსებულ ნაგებობათაგან სამწუხაროდ, არცერთს არ გააჩნია რაიმე სახის მხატვრულ-არქიტექტურული ფასეულობა. აქ ძირითადად გვხვდება რთული რელიეფის გამოისობით ნახევრად მიწაში შეჭრილი, თანამედროვე უსახური შენობები; ესენია: სხვადასხვა დროის წითელი და თეთრი აგურით ნაგები, ერთსართულიანი, მცირე გაბარიტის მქონე მოცულობა, რომლის წყობაშიც ალაგ-ალაგ სამშენებლო მასალად ძევლი აგურიცაა გამოყენებული (სურ. 20); ბლოკით ნაშენი, დაუსრულებელი შენობა, რომელიც ოდნავ ადრეულ, საბჭოთა დროს მრავალგზის გადაკეთებულ, სახლს ებჯინება (სურ. 21, 22); ტერასულად ნაგები ორსართულიანი შენობა გვიანდელი მინაშენებითა და ერთადერთ ფასადზე გამომავალი ხის თანამედროვე შუშაბანდით (სურ. 18); დაბოლოს, საყრდენ კედელშივე მოწყობილი, ბეტონში სხმული კედლებით ამოყვანილი ავტოფარეხი (სურ. 19). მოცემულ ტერიტორიაზე (ვგულისხმობთ უშუალოდ საპროექტო ტერიტორიას) არსებულ ერთადერთ საყურადღებო დეტალს წარმოადგენს საყრდენი კედლის მცირე, ძლიერ დაზიანებული, მცენარეულობით დაფარული ფრაგმანეტი, რომელიც მოგვიანებით, როგორც ჩანს ბეტონით გაუმაგრებიათ, რის გამოც მას დიდწილად აქვს დაკარგული ავთენტურობა (სურ. 17). სხვა მხრივ, უსახურ მოცულობათაგან "დაბინძურებულ" არქიტექტურულ მოცემულობას გაზსადენი მილების, ლითონის მესერისა და ბადეების სრულიად მოუწესრიგებელი, ქაოტური სისტემა აგვირგვინებს (სურ. 23).











სურ. 17 - 23

საკვლევი ობიექტის მიმდებარე ტერიტორია

ჩვენი საკვლევი ობიექტის ურბანულ გარემოს შეადგენს გიორგი მერჩულეს, იაკობ ცურტაველისა და თელეთის ქუჩებისა და მათთაგნ მომდინარე შესახვევ-ჩიხების ირეგულარული, შუასაუკუნეობრივად მიხვეულ-მოხვეული ქსელი. კარგად შემონახული ურბანული ქსოვილის მიუხედავად, მოცემული მიკროუბნის არქიტექტურული ფონდი დღესდღეობით საკმაოდ გადაგვარებული და თითქმის განადგურებულია. შენობათა პრაქტიკულად აბსოლუტური უმრავლესობა გვიანდელი გადაკეთებისა და უხეში ჩარევის მსხვერპლია. მრავალრიცხოვანი მინაშენები, დაშენებიბი თუ შელესილობები ნაგებობებს თავდაპირველ იერს უკარგავს. სახლები საკუთარ ხნოვანებას კედლის გადაკეთებულ-განახლებულ წყობაში აქა-იქ, მცირე ფრაგმენტების სახით შემორჩენილი ქვისა და აგურის მონაცვლეობითი წყობით გვიმხელს, რაც, ჩვეულებრივ, "ვერ ერევა" დამახინჯებული, უსახურის შენობებისაგან მომდინარე უსიამო შთაბეჭდილებას. მოცემულ ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მატარებელი მხოლოდ ორი შენობაა (სურ. 2) შემორჩენილი – გ. მერჩულეს ქ. №6 და ი. ცურტაველის ქ. №11 – რომელთაც მძიმე ფიზიკური მდგომარეობის მიუხედავად, ჯერ კიდევ შენარჩუნებული აქვს მხატვრულ-არქიტექტურული ღირებულება.

გ. მერჩულეს ქ. №6-ში განთავსებული საცხვრებელი სახლი (სურ. 24, 25) XIX საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება და უბის ერთ-ერთ უადრეს ნაგებობას წარმოადგენს. დამრეც რელიეფს ოსტატურად მორგებული შენობა გ. მერჩულეს ქუჩის მხარეს თითქმის ყრუ აგურის კედლით გამოდის (მის ქვედა ნაწილში ადრეული ხანისათვის დამახასიათებელი რიყის ქვასთან შერეული წყობის ფრაგმენტი ჩანს), შიდა ეზოს მხარეს კი ხის აივნით იხსნება. ცურტაველის ქუჩის მიმართულებით გამომავალ მთავარ ფასადზე, გვიანდელი მინაშენების მიუხედავად, თვალში გვხვდება შენობის ხნოვანების უმთავრესი დასტური – თაღოვანი სარკმლის ალათების რთული ნახატი შეწყვილებული თაღებისა და ვარდულის არქაული კომპოზიციით.



სურ. 24



სურ. 25



სურ. 26



სურ. 27

ი. ცურტაველის ქ. №11-ში განთავსებული, XIX საუკუნის 60-იანი წლების შენობა (სურ. 26, 27) ამჟამად მძიმე მდგომარეობაშია, სახლის კუთხე, პრაქტიკულად ჩამონგრეულია, ნაწილი - ძლიერ ამორტიზებული. შენობა სასწრაფოდ საჭიროებს გადაუდებელ რეაბილიტაციას.

მხატვრულ-არქიტექტურული თუ ისტორიული თვალსაზრისით ზემოხსენებული შენობები გამორჩეული ფასეულობის მატარებელია. ისინი არა მხოლოდ მოცემული უბნის, არამედ ქალაქის ერთიან ურბანულ კონტექსტშიც იმსახურებს ყურადღებასა და სრულიად განსაკუთრებულ დამოკიდებულებას; ამდენად, მათი არსებობა უთუოდ ანგარიშგასაწევი

უნდა იყოს მოცემულ ტერიტორიაზე დაგეგმილი ნებისმიერი სახის ჩარევისას.

რეკომენდაცია

წარმოდგენილი საპროექტო წინადადება გულისხმობს ნიზამი განჯევის შესახვევ №2 მისამართზე რიცხულ, 680 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთზე არსებული ნაგებობების დემონტაჟს. როგორც წინამდებარე კვლევამ აჩვენა, არსებული შენობები მოკლებულია მხატვრულ-არქიტექტურულ ღირებულებას (თუ არ ჩავთვლით ძველ საყრდენ კედელს, რომელიც არსებულ მიწის ნაკვეთს ემიჯნება, არ შედის მის შემადგენლობაში და შესაბამისად, ხელუხლებლად უნდა დარჩეს). ამდენად, მოცემული შენობების დემონტაჟი დასაშვებად მიგვაჩნია. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ტერიტორიის ადგილმდებარეობიდან გამომდინარე – იგი ქალაქის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონაში განთავსდება – ნებისმიერი სახის ინტერვენცია რთული და ფაქიზად მოსაპყრობი საკითხია. ამასთან, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ახალი შენობის მხატვრული სახის გადაწყვეტას, მით უფრო რომ განსაკუთრებით საფრთხილოა ახლადგაჩენილი მოცულობის არსებულ განაშენიანებაზე უარყოფითი ზეგავლენა ხედვის შორი წერტილიდან, როცა ნაგებობის მასშტაბი და გარემოსთან პროპორციული თანაფარდობა ქალაქის პანორამულ კონტექსტში იკითხება. შესაბამისად, სამომავლო პროექტით გათვალისწინებული ნაგებობის გაბარიტმა და მხატვრულ-არქიტექტურულმა გადაწყვეტამ ანგარიში უნდა გაუწიოს და მაქსიმალურად გაითვალისწინოს, ერთი მხრივ, არსებული უბნის ისტორიული განაშენიანება, მეორე მხრივ კი აღქმის წერტილები და ხილვადობა ქალაქის საერთო პანორამულ ხედში. ასევე, ვფიქრობთ, დემონტაჟის დროს გასათვალისწინებელია რიგი გარემოებებისა, რასაც ქვემოთ მოკლე რეკომენდაციის სახით მოვიყვანთ.

- ✓ სადემონტაჟო სამუშაოების დროს დაცული უნდა იყოს მოცემული მიწის ნაკვეთის საზღვართან მდებარე ისტორიული საყრდენი კედლის უსაფრთხოება;
- ✓ სადემონტაჟო სამუშაოები უნდა წარმოებდეს არქეოლოგის ზედამხედველობის ქვეშ. არქეოლოგიური ფენების გამოვლენის შემთხვევაში, მიწის სამუშაოები უნდა შეჩერდეს და დაუყოვნებლივ ეცნობოს ან საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, ან საქრათველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ვ. ბერიძე, “თბილისის ხუროთმოძღვრება. 1801-1917 წწ”., ტ I-II, თბ., 1960-1962
2. თ. ბერიძე, “. . . და აღმოცენდა თბილისი”, თბ., 1977
3. მ. ბულია, მ. ჯანჯალია, საქართველოს ძველი ქალაქები, თბილისი, თბ., 2006
4. მ. მანია, ციხისუბანი - ძველი თბილისის დაკარგული ფასეულობა, ელექტრონული ჟურნალი ARS GEORGICA.
5. თ. კვირკველია, “მველთბილისური დასახელებანი”, თბ., 1985
6. თ. კვირკველია, “ძველი თბილისის ქუჩებსა და ქუჩაბანდებში”, თბ., 1989
7. ო. ტყეშელაშვილი, თბილისის ქუჩები, თბ., 1986
8. П. Иоселиани, “Описание древностей города Тифлиса”, Тиф., 1866
9. М. Полиевктов, Г. Натадзе, Старый Тифлис в известиях современников, Тиф., 1929